



ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

ღია მმართველობა

საგაზეთო ჩანართი №12

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

პანდემიის პირობებში კენჭისყრის პროცესი უსაფრთხოა. კენჭისყრის შენობაში გათვალისწინებულია ინფექციის გავრცელების ყველა პრევენციული ღონისძიება.



კენჭისყრა იმართება 08:00 საათიდან 20:00 საათამდე



- გაიარეთ მარკირების შემონმევის პროცედურა



- კენჭისყრის ოთახში შესვლამდე დაიმუშავეთ ხელები შესასვლელში განთავსებული ხელის სადეზინფექციო სითხით



- ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსენით პირბადე იდენტიფიცირების მიზნებისთვის




- გაიარეთ მარკირება



კალმისტრით. ამავე კალმისტრით ისარგებლეთ ფარული კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების


- ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა რეგისტრატორის მაგიდაზე განთავსებული ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი



- მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები



- ფარული კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენში/ბიულეტენებში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი



- კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები მოათავსეთ მასში



- სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

ხმის მიცემის პროცესში გამოყენებული ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტარი დატოვეთ სპეციალურ კონტეინერში.

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ გთხოვთ დატოვოთ კენჭისყრის შენობა.



კენჭისყრის შენობის დატოვებისას ისარგებლეთ ხელის სადებიზინფექციო სითხით.

